სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შენობის დასრულების სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი, 2015 წ.

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია 3

2. ხელშეკრულების პროექტი 6

3. დანართი N1..... 8

4. დანართი N2..... 9

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის (მის: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ) საექიმო კაბინეტის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

1. სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობა:

- სამუშაოს შესრულების მიმდინარეობის პროცეში მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების ნორმები, შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ქონების დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას სამუშაო პროცესში წარმოქმნილი დაზიანებები, ასევე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების წარმოების პროცესში არსებული ნარჩენებისა და ნაგვის რეგულარულად გატანა, მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოების შედეგად გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;
- მიმწოდებელი ვალდებულია, ასევე, დაიცვას შენობაში უკვე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები, ფასადი და ფანჯრები ნებისმიერი სახის ზემოქმედებისაგან/დაზიანებისაგან სამუშაოების შესრულების პერიოდში და სრულად აგებს პასუხს მათი დაზიანების შემთხვევაში;
- სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტს.
- სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალების, მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) განისაზღვრება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა, ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს აღნიშნული სამუშაოები.
- მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით.
- შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს უშუალოდ სარემონტო სამონტაჟო სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს;
- ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით;
- გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20% - ზე მეტი სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა ფასთა ადეკვატურობის შესახებ. ზემოაღნიშნული დასაბუთების ან/და დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას.
- მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 2 (ორი) წლიანი ანალოგიური სამუშაოების ჩატარების გამოცდილება.
- მიმწოდებელს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;
- შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოების სრულად დამთავრების შემდეგ (ფორმა N2), რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დადებითი დასკვნა, აღმოჩენილი ხარვეზების შემთხვევაში მიმწოდებელს შემსყიდველის მხრიდან განესაზღვრება გონივრული ვადა აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად;
- საექსპერტო მომსახურების თანხა ანაზღაურებული იქნება მიმწოდებლის მიერ;

- შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, სატენდერო დოკუმენტაციას თან ერთვის დანართი N3-ის სახით და არის მისი განუყოფელი ნაწილი.

შენიშვნა:

- *მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს დისკვალიფიკაციას აღნიშნულ ტენდერში.*
- *შუალედური მიღება-ჩაბარება არ იწარმოებს.*

2. **მიწოდების ადგილი და ვადები:**

- შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე: ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ.
- შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

3. **ანგარიშსწორების პირობები:**

- მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;
- მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

4. **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:**

- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ მოითხოვება.

5. **დამატებითი მოთხოვნები:**

- სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, არაქართულენოვანი დოკუმენტაცია არ განიხილება.
- სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.
- სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

6. **სისტემაში ასატვირთი მონაცემები:**

- რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად;
- ხარჯთააღრიცხვა დანართი N3-ის შესაბამისად;
- ინფორმაცია არანკლებ 2 (ორი) წლიანი ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ, დანართი N2 -ის შესაბამისად;
- ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაოების განხორციელების ვადები, გეგმა-გრაფიკის სახით;
- პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადება, რეკვიზიტები დანართი N1, ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ დანართი N2 და ხარჯთაღრიცხვის ფორმა დანართი N3 წარმოადგინოს სრულყოფილად შევსებული, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.
- ხარჯთაღრიცხვის ფორმა დანართი N3-ის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტედენტის დისკვალიფიკაციას.

7. **განხორციელებულ სამუშაოზე უნდა გავრცელდეს შემდეგი საგარანტიო ვადები**

- აღნიშნულ სამუშაოებზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 2 (ორი) წელიწადი.

8. **დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:**

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომლეიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი 2015 წ.

სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის **თინათინ ალავიძის** სახით, ერთის მხრივ და _____ (შემდგომში – მიმწოდებელი) მისი _____ სახით, მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA _____ გამარტივებული ელექტორნული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1.შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტი: სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის (მის: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ) საქიმო კაბინეტის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. (შემდგომში – საქონელი/მომსახურეობა) (CPV45400000) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი დანართების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ..... (.....) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 3. მიღება–ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ტექნიკური ზედამხედველი მარინა კუხალაშვილი

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება, შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე, ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლის 5. გარანტია

5.1. შესყიდვის ობიექტზე გარანტიის მოქმედების ვადა უნდა ვრცელდებოდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ---------

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი.

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდვების პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტორნული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე–20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, წუნდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის გამოცვლის ან/და შეკეთების გზით.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებელობის შესახებ.

10.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია დაგაწყვეტილ იქნას ერთობლივად მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ....

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

დანართი N1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: ----------

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:----------

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:----------

საიდენტიფიკაციო კოდი: ----------

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ----------

ელექტრონული მისამართი:----------

ბანკის დასახელება: ----------

ბანკის კოდი: ----------

ანგარიშსწორების ანგარიში:----------

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა/სახელი, გვარი) ----------

ხელმოწერა/ბეჭედი

დანართი N2

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება ----------

#	ორგანიზაცია (კომპანია)	ხელშეკრულების ნომერი (არსებობის შემთხვევაში სატენდერო განაცხადის ნომერი)	ხელშეკრულ ების ღირებულება	ხელშეკრულების თარიღი (სამუშაოს ვადის მითითებით)	ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება
1					
2					
3					
4					

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა/სახელი, გვარი) ----------

ხელმოწერა/ბეჭედი